პერსონალურ მონაცემთა
დაცვის სამსახური

მსოფლიო პრაქტიკა

მაისი / 2023

მთავარი სიახლეები

მონაცემთა დაცვის ევროპულმა საბჭომ (“EDPB”) სამართალდამცავ სფეროში სახის ამომცნობი ტექნოლოგიების თემატიკაზე სახელმძღვანელოს საბოლოო ვერსია გამოაქვეყნა

ევროკავშირის საერთო სასამართლომ (“General Court”) ფსევდონიმიზებულ მონაცემებთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (“CJEU”) განმარტებით, ონლაინ ვიდეოგაკვეთილები “GDPR”-ის მოწესრიგების ფარგლებში ექცევა

დამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა სასამართლომ (“ECtHR”) იეჰოვას მოწმეთა მიერ თანხმობის მოპოვების საკითხზე გადაწყვეტილება მიიღო

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა სასამართლომ (“ECtHR”) იეჰოვას მოწმეთა მიერ მონაცემთა სუბიექტის თანხმობის მოპოვების საკითხზე გადაწყვეტილება მიიღო

09.05.2023

ფოტო: coe.int

საქმე: *Jehovah’s Witnesses v. Finland* (საჩივრის № 31172/19) შეეხება იეჰოვას ცალკეული მოწმეების მიერ კარდაკარ ქადაგების დროს პერსონალური მონაცემების შეგროვებისას მონაცემთა სუბიექტების თანხმობის მოპოვების ვალდებულებას. საქმეზე ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივანი რელიგიური საზოგადოების ინტერესები და პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით ინდივიდთა უფლებები შიდასახელმწიფოებრივმა ორგანოებმა სწორად დააბალანსეს, როდესაც მიიჩნიეს, რომ თანხმობის მიღება აუცილებელი იყო.

ფაქტობრივი გარემოებები

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე მომჩივან მხარეს იეჰოვას მოწმეები — ქ. ვანტაასში დაფუძნებულ, ფინურ რელიგიურ საზოგადოებას წარმოადგენდა (შემდგომში — მომჩივანი რელიგიური საზოგადოება).

2000 წელს ფინეთის მონაცემთა დაცვის ომბუდსმენმა გამოაქვეყნა მოსაზრება, რომლის თანახმად, იეჰოვას მოწმეების კარდაკარ ვიზიტების დროს, პერსონალურ მონაცემთა შეგროვება მხოლოდ ინდივიდთა თანხმობით იყო შესაძლებელი.

2011 წელს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა ომბუდსმენს მიმართეს საჩივრით, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ იეჰოვას მოწმეთა ჩანაწერები „პერსონალური მონაცემების ფაილს“ წარმოადგენდა. თუმცა იეჰოვას მოწმეები ამტკიცებდნენ, რომ მათ ცალკეულ წევრებს რაიმე ინფორმაციის ორგანიზაციაში წარდგენის ვალდებულება არ გააჩნდათ და ნებისმიერ შემთხვევაში, აღნიშნული მონაცემები თავად ინდივიდთა მიერ იყო გაცემული. საქმე „მონაცემთა დაცვის საბჭოს“ გადაეცა, რომელმაც დაადგინა, რომ იეჰოვას მოწმეებს ეკრძალებოდათ მონაცემების შეგროვება კანონით გათვალისწინებული პერსონალური და განსაკუთრებული მონაცემების დამუშავების ზოგადი წინაპირობების დაკმაყოფილების გარეშე; საჭირო იყო იმ პირის ცალსახა თანხმობა, ვისი მონაცემებიც მუშავდებოდა. საბჭომ მომჩივან რელიგიურ საზოგადოებას შეგროვებული მონაცემების მიმართ შესაბამისი მოთხოვნების შესასრულებლად ექვსთვიანი ვადა განუსაზღვრა.

მომჩივანმა რელიგიურმა საზოგადოებამ და იეჰოვას ორმა ცალკეულმა მოწმემ ეროვნულ სასამართლოებს მიმართეს. მათი მიზანი საბჭოს ბრძანებაში ცვლილებების შეტანა იყო, რათა კარდაკარ ქადაგების დროს შეგროვებული ინფორმაცია „პირადი მიზნების“ კონტექსტში განხილულიყო. ჰელსინკის ადმინისტრაციულმა სასამართლომ მომჩივანი რელიგიური საზოგადოების საჩივარი ნაწილობრივ დააკმაყოფილა და საბჭოს გადაწყვეტილება გააუქმა. კერძოდ, სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივანი რელიგიური საზოგადოება სადავო მონაცემების „დამმუშავებელს“ არ წარმოადგენდა, თუმცა მონაცემების შეგროვებისა და დამუშავებისთვის ინდივიდთა გამოხატული თანხმობა მაინც საჭირო იყო. გადაწყვეტილება ომბუდსმენმა 2015 წელს გაასაჩივრა.

2016 წელს უზენაესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ სამართალწარმოება შეაჩერა და წინასწარი გადაწყვეტილების მისაღებად ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (“CJEU”) მიმართა. 2018 წელს, “CJEU”-მ, სხვა საკითხებთან ერთად, დაადგინა, რომ იეჰოვას მოწმეებმა ქადაგების დროს, სულ მცირე, შეგროვებულ მონაცემთა ნაწილი, პოტენციურად შეუზღუდავი რაოდენობის პირებისთვის გახადეს ხელმისაწვდომი. შესაბამისად, ქადაგების დროს მონაცემთა შეგროვება კერძო ან საყოფაცხოვრებო გამოყენების კატეგორიებში არ ექცეოდა.

2018 წელს უზენაესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე გააუქმა ჰელსინკის ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. უზენაესმა სასამართლომ “CJEU”-ს დასკვნებზე მითითებით დაადგინა, რომ იეჰოვას მოწმეების მიერ მონაცემთა შეგროვება დაუშვებელია განიხილებოდეს პერსონალური მონაცემების პირადი გამოყენების კონტექსტში. მიუხედავად იმისა, რომ კარდაკარ ქადაგება იეჰოვას ცალკეული მოწმეების პირადი რელიგიური საქმიანობის ნაწილს წარმოადგენდა, აღნიშნული ასევე მომჩივანი რელიგიური საზოგადოების მიერ იყო ორგანიზებული, კოორდინირებული და წახალისებული. ამრიგად, იეჰოვას მოწმეთა საზოგადოება მონაცემთა „დამმუშავებელი“ და შესაბამისად, პასუხისმგებელი პირი იყო.

საჩივრები

მომჩივანმა რელიგიურმა საზოგადოებამ სადავო გახადა სამართალწარმოებისას ზეპირი მოსმენის არარსებობისა და ქადაგების პროცესში თანამოსაუბრის თანხმობის გარეშე ჩანაწერების გაკეთების აკრძალვის საკითხები. იგი ეყრდნობოდა „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის“ სხვადასხვა მუხლს, მათ შორის, მე-6 („საქმის სამართლიანი განხილვის უფლება“), მე-8 („პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის

ფოტო: Flaticon.com

უფლება“) და მე-9 („აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება“) მუხლებს.

მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევის შეფასება

საქმის გარემოებების შეფასების შედეგად, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივან რელიგიურ საზოგადოებას შვიდი წლის განმავლობაში მტკიცებულებებისა და არგუმენტების წარდგენის ყველა შესაძლებლობა გააჩნდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო სამართლებრივი საკითხები მათი განხილვისთვის ზეპირ მოსმენას არ მოითხოვდა და შესაბამისად, კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა არ დადგინდა.

მე-9 მუხლის სავარაუდო დარღვევის შეფასება

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ პირთა თანხმობის მოპოვების მოთხოვნა, რომელთა მონაცემებსაც იეჰოვას მოწმეები ამუშავებდნენ, წარმოადგენდა მომჩივანი რელიგიური საზოგადოების მე-9 მუხლით დაცულ უფლებებში ჩარევას. აღნიშნული ჩარევა იყო „კანონით გათვალისწინებული“, ვინაიდან იგი „პერსონალურ მონაცემთა აქტით“ იყო განსაზღვრული და ასევე, დადასტურდა “CJEU”-სა და ფინეთის უზენაესი სასამართლოს მიერ. ამასთანავე, კონვენციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის მნიშვნელობით, „სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების“ დაცვა შეზღუდვების ლეგიტიმური მიზანი იყო. განსახილველ, მთავარ საკითხს წარმოადგენდა ის, იყო თუ არა აღნიშნული ჩარევა „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“.

ფოტო: european-union.europa.eu

უზენაესი სასამართლოს დასაბუთების მიხედვით, ჩარევა რელიგიური თავისუფლების შეზღუდვას არ წარმოადგენდა. მისი მიზანი პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით სხვათა უფლებების დაცვა იყო. უზანაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ განსახილველ შემთხვევაზე პირადი ან საყოფაცხოვრებო გამონაკლისი არ ვრცელდებოდა და სასამართლომ სწორად დააბალანსა მომჩივანი რელიგიური საზოგადოების უფლებები იმ პირთა უფლებებთან, რომელთა მონაცემებიც გროვდებოდა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ შესაბამისი კანონი ვრცელდებოდა ყველა რელიგიურ გაერთიანებაზე და ამ კონკრეტულ საქმეში იეჰოვას მოწმეთა საზოგადოებას ჯარიმა არ დაჰკისრებია. ევროპულმა სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ თანხმობის მოპოვების მოთხოვნა აუცილებელი იყო პერსონალური და განსაკუთრებული მონაცემების გამჟღავნების თავიდან ასარიდებლად და აღნიშნული მოთხოვნა ხელს არ უშლიდა იეჰოვას მოწმეების

მხრიდან რელიგიის თავისუფლებით სარგებლობას. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივანი რელიგიური საზოგადოების აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება არ დარღვეულა.

მე-8 მუხლის სავარაუდო დარღვევის შეფასება

მომჩივანი რელიგიური საზოგადოება კონვენციის მე-8 მუხლზე დაყრდნობით ასაჩივრებდა, რომ საბჭოს ბრძანება იეჰოვას მოწმეების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას არღვევდა, რადგან მათ აეკრძალათ იმ ჩანაწერების გაკეთება, რომლებიც შეიცავდა მათ პირად მოსაზრებებსა და საუბრებს. დამატებით კი აღინიშნა, რომ ინდივიდის სახელი და მისამართი მარტივად იყო ხელმისაწვდომი საჯარო ჩანაწერებში.

სასამართლოს მოსაზრებით, კონვენციის მე-8 მუხლის ფარგლებში ყურადღება უნდა გამახვილებულიყო იეჰოვას ცალკეული მოწმეების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებებზე, რაზეც სავარაუდო გავლენა საბჭოს ბრძანებამ იქონია. აღნიშნული აქტის მიხედვით, იეჰოვას მოწმეებს კარდაკარ ვიზიტების დროს, მონაცემთა სუბიექტების მკაფიო თანხმობის გარეშე, აეკრძალათ პერსონალური მონაცემების შეგროვება და დამუშავება.

საწყის ეტაპზე, სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ საქმეში კონვენციის 34-ე მუხლის მიზნებისთვის, მსხვერპლის სტატუსის საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული შიდასახელმწიფოებრივი მექანიზმების ამოწურვის მოთხოვნასთან, რომელიც ასახულია 35-ე მუხლის პირველ პარაგრაფში. განიმარტა, რომ კონვენციის 34-ე მუხლის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ორი პირობა: მომჩივანი უნდა მოექცეს 34-ე მუხლით გათვალისწინებულ მომჩივანთა ერთ-ერთ კატეგორიაში და მას უნდა შეეძლოს იმის დასაბუთება, რომ არის კონვენციის დარღვევის მსხვერპლი. ასევე, პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობით, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა შიდასახელმწიფოებრივი მექანიზმების ამოწურვის საკითხთან დაკავშირებით არსებულ ზოგად პრინციპებზე.

სასამართლოს შეფასებით, მოცემულ საქმეში ერთადერთ მომჩივანს იეჰოვას მოწმეთა რელიგიური საზოგადოება წარმოადგენს და არა მისი რომელიმე ცალკეული პირი. გარდა აღნიშნულისა, მომჩივანი რელიგიური საზოგადოება იყო ერთადერთი მხარე ეროვნულ დონეზე სამართალწარმოების მიმდინარეობისას და ორი ცალკეული წევრის მცდელობა, ჩართულიყვნენ ეროვნული სამართალწარმოების პროცესში, იყო უშედეგო. ეროვნულმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ არ მიიღო ცალკეული პირების მიერ წარდგენილი საჩივარი იმ არგუმენტით, რომ საბჭოს ბრძანება მათ არ შეეხებოდათ და შესაბამისად, მათ უფლებებზე, ვალდებულებებსა და ინტერესებზე პირდაპირ გავლენას ვერ იქონიებდა.

ფოტო: Flaticon.com

სასამართლოს მსჯელობაში ხაზგასმით აღინიშნა გარემოება, რომლის თანახმად, 2018 წლის 20 სექტემბრამდე, რელიგიურ საზოგადოებას ეროვნული ორგანოებისთვის მე-8 მუხლთან დაკავშირებული რაიმე საჩივარი არ წარუდგენია და ზემოხსენებული მუხლი მხოლოდ მონაცემთა სუბიექტების უფლებების კონტექსტში იყო დასახელებული. თავის მხრივ არგუმენტი, რომ ინდივიდთა სახელი და მისამართი საჯარო ჩანაწერებში იყო ხელმისაწვდომი და მონაცემთა სუბიექტებს არ ჰქონდათ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის გონივრული მოლოდინი — შემოწმდა კონვენციის მე-9 მუხლის ფარგლებში და შესაბამისად, მე-8 მუხლის მიხედვით აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა არ იყო გამართლებული.

მხოლოდ 2018 წლის 20 სექტემბერს, უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლოსათვის წარდგენილი წერილობით დოკუმენტში, მას შემდეგ, რაც სამართალწარმოების დაწყებიდან 5 წელზე მეტი დრო გავიდა და “CJEU”-მ წინასწარი განჩინება გამოიტანა, რელიგიური საზოგადოება დავობდა პირველად, რომ საბჭოს მიერ მიღებული ბრძანებით დაირღვა იეჰოვას ცალკეული მოწმეების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებები კონვენციის მე-8 მუხლის შესაბამისად. ევროპული სასამართლოს მითითებით, საჩივრის ინტერპრეტაცია უნდა მოხდეს საბჭოსა და უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ განსაზღვრული საქმის ფარგლებში და იგი შეეხება მხოლოდ მომჩივან რელიგიურ საზოგადოებას და არა მის ცალკეულ მიმდევრებს.

- ✓ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ, საჩივრის კონვენციის დებულებებთან შეუთავსებლობისა და 35-ე მუხლის მე-3 და მე-4 პარაგრაფებით გათვალისწინებული შიდასახელმწიფოებრივი დაცვის მექანიზმების ამოწურვის არარსებობის გამო, მე-8 მუხლთან დაკავშირებული საჩივარი დაუშვებლად ცნო.

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (“CJEU”) განმარტებით, ონლაინ ვიდეოგაკვეთილები “GDPR”-ის მოწესრიგების ფარგლებში ექცევა

03.05.2023

ფოტო: european-union.europa.eu

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ წინასწარ განჩინებაში კოვიდ-19 პანდემიის პერიოდში ვიდეოგაკვეთილების პირდაპირი ტრანსლაციის კანონიერებაზე იმსჯელა. აღნიშნულ საკითხთან მიმართებით, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა “GDPR”-ის 88-ე მუხლზე, რომელიც დასაქმების ფარგლებში მონაცემების დამუშავებას შეეხება.

ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, გერმანიის განათლებისა და კულტურის მინისტრმა კოვიდ-19 პანდემიის პირობებში სამართლებრივი და ორგანიზაციული ჩარჩო შეიმუშავა, რომლის მიხედვით, სკოლის იმ მოსწავლეებს, რომელთაც არ ჰქონდათ შესაძლებლობა, საკლასო ოთახებში დასწრებოდნენ გაკვეთილებს, დისტანციურად სწავლისა და დასწრების საშუალება მიეცათ. მოსწავლეების პერსონალურ მონაცემთა დაცვის უზრუნველსაყოფად, ონლაინჩართვა უნდა განხორციელებულიყო მოსწავლეების თანხმობის საფუძველზე, ხოლო არასრულწლოვნების შემთხვევაში, საჭირო იყო მათი მშობლების თანხმობა. აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული სამართლებრივი და ორგანიზაციული ჩარჩო არ ითვალისწინებდა ვიდეოგაკვეთილების ჩატარებაზე მასწავლებლების თანხმობასთან დაკავშირებით შესაბამის დებულებას.

იქიდან გამომდინარე, რომ მასწავლებლების თანხმობა არსებული რეგულაციებით არ იყო გათვალისწინებული, „მასწავლებელთა კომიტეტმა“ (“Principal Staff Committee for Teachers”) შეიტანა სარჩელი გერმანიის განათლებისა და კულტურის მინისტრის წინააღმდეგ მასწავლებელთა თანხმობის გარეშე გაკვეთილების პირდაპირი ტრანსლაციის შესახებ. მინისტრმა განაცხადა, რომ პერსონალური მონაცემების დამუშავება გაკვეთილების პირდაპირი ტრანსლაციის პროცესში რეგულირდებოდა ეროვნული კანონმდებლობით, რომელიც თავის მხრივ შეესაბამებოდა “GDPR”-ს. ამდენად, დისტანციური გაკვეთილების ჩატარებამდე მასწავლებლის წინასწარი თანხმობა არ იყო საჭირო.

ადმინისტრაციულმა სასამართლომ ეროვნული კანონმდებლობის “GDPR”-ის 88-ე მუხლთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს შემდეგი კითხვებითა და წინასწარი

განჩინების გამოტანის თხოვნით მიმართა:

1. უნდა განიმარტოს თუ არა “GDPR”-ის 88-ე მუხლის პირველი პუნქტი იმგვარად, რომ წევრი სახელმწიფოს მიერ დადგენილი უფრო სპეციალური რეგულაცია, რომელიც უზრუნველყოფს შრომითსამართლებრივ ურთიერთობებში დასაქმებულთა პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით მათი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, აკმაყოფილებდეს 88-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს?
2. ეროვნული კანონის მიერ “GDPR”-ის 88-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, უნდა შეინარჩუნოს თუ არა ასეთმა რეგულაციამ მოქმედების ძალა?

პირველ კითხვასთან მიმართებით, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ დაადგინა, რომ წევრ სახელმწიფოებს “GDPR”-ის 88-ე მუხლის ფარგლებში აქვთ უფლებამოსილება, მიიღონ „სპეციალური წესები“, რაც ასევე უნდა ითვალისწინებდეს დასაქმებულის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებს.

ამასთან, “GDPR”-ის 88-ე მუხლში განმარტებულია, რომ მიღებული „სპეციალური წესები“ უნდა მოიცავდეს „სათანადო და სპეციფიკურ ზომებს“ მონაცემთა სუბიექტის ღირსების, კანონიერი ინტერესისა და ფუნდამენტური უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად, მონაცემთა დამუშავების გამჭვირვალობის, საწარმოთა ჯგუფის შიგნით (მათ შორის, საერთო ეკონომიკური საქმიანობისას) მონაცემთა გადაცემის და სამუშაო ადგილზე ზედამხედველობის გათვალისწინებით. შესაბამისად, კონკრეტული რეგულაციის მიღების დროს წევრი სახელმწიფოებისთვის მინიჭებული დისკრეცია უნდა შეესაბამებოდეს ზემოხსენებულ მოთხოვნებს.

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ „სპეციალური წესები“ “GDPR”-ისგან უნდა განსხვავდებოდეს და არ უნდა იმეორებდეს მასში უკვე ასახულ პრინციპებს. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა გენერალური ადვოკატის მოსაზრებაზე და აღნიშნა, რომ ეროვნულ კანონმდებლობაში არსებული რეგულაციები იყო ზოგადი ხასიათის და იმეორებდა “GDPR”-ის მე-6 მუხლის 1(b) პუნქტით ჩამოყალიბებულ მიდგომას მონაცემთა დამუშავების კანონიერების თაობაზე. შესაბამისად, იგი არ ითვალისწინებდა უფრო კონკრეტულ რეგულაციას “GDPR”-ის 88-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

ფოტო: flaticon.com

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პირველი კითხვის პასუხად, სასამართლომ დაადგინა, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ეროვნული კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა „სპეციალურ წესებს“ თანახმად “GDPR”-ის 88-ე მუხლისა და არ აკმაყოფილებდა აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს მონაცემთა სუბიექტის ღირსების, კანონიერი ინტერესის და ფუნდამენტური უფლებების დაცვის მიზნით, „სათანადო და სპეციფიკური ზომების“ უზრუნველყოფის თაობაზე.

მე-2 კითხვის პასუხად, სასამართლომ აღნიშნა, რომ მისი უფლებამოსილება მოიაზრებს ეროვნული კანონმდებლობის “GDPR”-ის 88-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასებას. პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან მიმართებით ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი დებულებების “GDPR”-ის 88-ე მუხლთან წინააღმდეგობის დადგენის შემთხვევაში, სასამართლომ მაინც უნდა განსაზღვროს, წარმოადგენს თუ არა აღნიშნული დებულება “GDPR”-ის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით სამართლებრივ საფუძველს, რომლის თანახმად მონაცემების დამუშავება უნდა ეფუძნებოდეს ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობას და დამუშავების მიზნები უნდა განისაზღვროს აღნიშნულ საფუძველზე დაყრდნობით.

ევროკავშირის საერთო სასამართლომ (“EGC”) ფსევდონიმიზებულ მონაცემებთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა

11.05.2023

საქმეზე: *T-557/20, SRB v EDPS* ევროკავშირის საერთო სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, თუკი მონაცემთა მიმღებს არ გააჩნია მონაცემთა ხელახალი იდენტიფიცირების სამართლებრივი საშუალებები, ერთი მხარის მიერ მეორისთვის გაზიარებული ფსევდონიმიზებული მონაცემები პერსონალურ მონაცემებად არ მიიჩნევა. საერთო სასამართლომ ასევე განმარტა, რომ პირადი მოსაზრებები შესაძლებელია, მიჩნეული იქნას პერსონალურ მონაცემად, თუმცა თითოეული შემთხვევა უნდა შეფასდეს საქმის გარემოებების მიხედვით.

საქმის გარემოებები

„ევროკავშირის ერთიანი რეზოლუციის საბჭომ“ (“Single Resolution Board” — “SRB”) ჩატარებული ერთ-ერთი გამოკითხვის ფარგლებში მიღებული პასუხები მესამე მხარეს — საკონსულტაციო ფირმას გაუზიარა. ინფორმაციის მიწოდებამდე, “SRB”-მ მონაცემთა ფსევდონიმიზაცია იმგვარად მოახდინა, რომ თითოეული რესპონდენტის სახელი ანბანურ-ციფრული კოდით ჩანაცვლდა, რათა პასუხების ცალკეულ პირებთან დაკავშირება არ მომხდარიყო. აღსანიშნავია, რომ „შიფრის გასაღები“, რომელთა გამოყენებით კოდების ცალკეულ რესპონდენტებთან დაკავშირება

იყო შესაძლებელი, საკონსულტაციო ფირმას არ გადაეცა.

ფოტო: srb.europa.eu

კვლევაში მონაწილე პირთა არაერთი საჩივრის შემდეგ, ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზედამხედველმა (“EDPS”) დაადგინა, რომ “SRB”-მ ფსევდონიმიზებული პერსონალური მონაცემები საკონსულტაციო კომპანიას კვლევაში ჩართული პირების ინფორმირების გარეშე გაუზიარა. მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (“GDPR”) მიხედვით, მონაცემები პერსონალურად მიიჩნევა, თუკი ისინი ფიზიკურ პირს „შეეხება“ და აღნიშნული პირი „იდენტიფიცირებული“ ან „იდენტიფიცირებადია“. “SRB”-ი არ დაეთანხმა “EDPS”-ის გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვით კვლევასთან დაკავშირებით გაზიარებული მონაცემები აკმაყოფილებდა ზემოაღნიშნულ კუმულაციურ პირობებს და შესაბამისად, ევროკავშირის საერთო სასამართლოს მიმართა.

ფსევდონიმიზებული პერსონალური მონაცემები

ევროკავშირის საერთო სასამართლომ განმარტა, იმის შეფასებისას, მიიჩნევა თუ არა ინფორმაცია ფსევდონიმიზებულად და შესაბამისად, პერსონალურ მონაცემად ან არის თუ არა მონაცემი ანონიმიზებული და ამდენად, “GDPR”-ის ფარგლებს მიღმა მოქცეული, გასათვალისწინებელია მონაცემთა მფლობელ მხარესთან დაკავშირებული ცალკეული გარემოებები. სასამართლომ დაადგინა, რომ მესამე პირთან გაზიარებული ფსევდონიმიზებული ინფორმაცია არ წარმოადგენს მიმღების ხელთ არსებულ პერსონალურ მონაცემებს, თუკი ამ უკანასკნელს არ აქვს წვდომა მონაცემთა სუბიექტების ხელახალი იდენტიფიკაციისთვის საჭირო დამატებით ინფორმაციაზე (“decoding information”) ან აღნიშნულ მონაცემთა მოპოვების კანონიერ საშუალებაზე. ის ფაქტი, რომ ფსევდონიმიზებული მონაცემების გამგზავნს შესაძლოა, ჰქონოდა „შიფრის გასაღები“ და შესაბამისად, მონაცემთა სუბიექტების ხელახალი იდენტიფიკაციის საშუალება, არარელევანტურად იქნა მიჩნეული.

პირადი შეხედულებები და მოსაზრებები

“EDPS”-ის არგუმენტით “SRB”-ის მიერ გაზიარებული გამოკითხვის პასუხები შეგროვდა ინდივიდების შეხედულებების მოსაპოვებლად და შესაბამისად, ისინი ფიზიკურ პირებთან „დაკავშირებული“ პერსონალური მონაცემები იყო.

საპასუხოდ, საერთო სასამართლომ დაადგინა, რომ პირადი შეხედულებები და მოსაზრებები შეიძლება იყოს პერსონალური მონაცემები, თუმცა არ მოქმედებს პრეზუმფცია, რომლის თანახმად, ისინი თავისთავად პერსონალური მონაცემების შემცველია. ხოლო იმის დადგენა, უკავშირდება თუ არა მოსაზრება ან შეხედულება „იდენტიფიცირებად პირს“, ინდივიდუალური შეფასების საკითხია.

ფოტო: edps.europa.eu

რა გავლენას მოახდენს მიღებული გადაწყვეტილება კომპანიებზე?

ფსევდონიმიზებული მონაცემებისა და პირადი მოსაზრებების კონტექსტში პერსონალური მონაცემების განმარტების საკითხზე ევროკავშირის საერთო სასამართლოს მიდგომა წინამდებარე გადაწყვეტილებით ნათელია. კომპანიებმა უნდა შეაფასონ, წარმოადგენს თუ არა მათ მიერ გაზიარებული ან მიღებული ინფორმაცია პერსონალურ მონაცემს.

ასევე, აღსანიშნავია, რომ „EDPS“-ს წინამდებარე გადაწყვეტილების ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოში (“CJEU”) გასაჩივრების უფლება აქვს.

მონაცემთა დაცვის ევროპულმა საბჭომ (“EDPB”) სამართალდამცავ სფეროში სახის ამომცნობი ტექნოლოგიების თემატიკაზე სახელმძღვანელოს საბოლოო ვერსია გამოაქვეყნა

17.05.2023

მონაცემთა დაცვის ევროპულმა საბჭომ (“EDPB”), საჯარო კონსულტაციების შემდეგ, სამართალდამცავ სფეროში სახის ამომცნობი ტექნოლოგიის შესახებ სახელმძღვანელოს საბოლოო ვერსია მიიღო. დოკუმენტი ევროკავშირისა და ეროვნული კანონმდებლებისთვის, ასევე, სამართალდამცავი ორგანოებისთვის, სახის ამომცნობი ტექნოლოგიური სისტემების დანერგვისა და გამოყენების შესახებ მითითებებს მოიცავს.



ფოტო: edpb.europa.eu

სახელმძღვანელოში აღნიშნულია, რომ ბიომეტრიული იდენტიფიკაციის მექანიზმის გამოყენებისთვის, აუცილებელია, ბიომეტრიული მონაცემების დამუშავების შესახებ

ეროვნულ კანონმდებლობაში შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობა. ამასთანავე, აღნიშნულია, რომ სახის ამოცნობის ინსტრუმენტები მხოლოდ საპოლიციო დირექტივის ("LED") მკაცრი დაცვით, საჭიროების შემთხვევაში და ამასთანავე, პროპორციულად უნდა იქნას გამოყენებული. დოკუმენტში, ასევე, განხილულია ის შემთხვევები, როდესაც დაუშვებელია სახის ამომცნობი ტექნოლოგიის გამოყენება.

სახელმძღვანელო მითითებების შემდეგ, დოკუმენტს სამი დანართი ახლავს: (1) სახის ამომცნობი ტექნოლოგიების გამოყენების შედეგად ფუნდამენტურ უფლებებში ჩარევის სიმძიმის შეფასების შაბლონი; (2) პრაქტიკული მითითებები იმ სახელმწიფო ორგანოებისთვის, რომლებსაც სურთ სახის ამომცნობი ტექნოლოგიების დანერგვა; და (3) პრაქტიკული მაგალითების მიმოხილვა სახის ამომცნობი სისტემების გამოყენებასთან, ასევე, მათი აუცილებლობისა და პროპორციულობის შეფასებასთან დაკავშირებით.

სახელმძღვანელო მითითებების საბოლოო ვერსია დიდწილად წააგავს 2021 წლის მაისში გამოქვეყნებული დოკუმენტის პროექტს. საჯარო კონსულტაციების შემდეგ, დოკუმენტი განახლდა და მასში რამდენიმე დამატებითი განმარტება აისახა:

- ევროკავშირის წევრი ქვეყნები ვალდებულნი არიან, გამოყონ შესაბამისი რესურსები საზედამხედველო ორგანოებისთვის, მათი მოვალეობების შესრულების უზრუნველსაყოფად;
- სახელმძღვანელო დოკუმენტის ფარგლები მოიცავს ტექნოლოგიებს, რომელთა მიზანია პირის იდენტიფიცირება;
- პერსონალური მონაცემები შესაძლოა, დამუშავდეს მხოლოდ სახის ამომცნობი ტექნოლოგიების განვითარების მიზნით, როდესაც არსებობს კანონიერი და ლეგიტიმური საფუძველი, კანონით განმტკიცებული მონაცემთა დაცვის პრინციპების შესაბამისად;
- ადამიანის ჩართულობა სახის ამომცნობი ტექნოლოგიების შედეგების დამუშავებაში შესაძლოა, არ იყოს საკმარისი გარანტია მონაცემთა სუბიექტების უფლებების დასაცავად. ადამიანის შესაძლო მიკერძოებისა და შეცდომების ალბათობამ, შესაძლოა, გავლენა მოახდინოს მონაცემთა კანონიერ დამუშავებაზე;
- სახის ამომცნობი ტექნოლოგიების გამოყენებით, პერსონალური მონაცემების დამუშავება ექვემდებარება "GDPR"-ით დადგენილი ანგარიშვალდებულების პრინციპს. სისტემაში შესრულებული ოპერაციების აღწერა და შესაბამისი პროცედურული საფეხურები (როგორიცაა, მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასება) მნიშვნელოვანი ელემენტებია.

"EDPB"-მ აღნიშნა, რომ მას „ესმის ტერორისტული აქტებისა და სხვა მძიმე დანაშაულების ჩამდენი პირების სწრაფად იდენტიფიცირებისთვის სამართალ-

დამცავი ორგანოების მიერ საუკეთესო ინსტრუმენტებით სარგებლობის აუცილებლობა“, თუმცა „ასეთი ინსტრუმენტები გამოყენებულ უნდა იქნას მოქმედი სამართლებრივი ჩარჩოს მკაცრი დაცვით და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც აუცილებლობისა და პროპორციულობის მოთხოვნები დაცულია“.

“EDPB”-მ, ასევე, განსაზღვრა სახის ამომცნობი ტექნოლოგიების პოტენციური გამოყენების რამდენიმე შემთხვევა, რაც მაღალი რისკის ქვეშ აყენებს ინდივიდებსა და მათ პირად ცხოვრებას ან წარმოადგენს „უაღრესად არასასურველს“; მაგალითად, სახის ამოცნობის გამოყენება პირთა ემოციების გამოსავლენად.

გაერთიანებული სამეფოს მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ (“ICO”) საცხოვრებელ ტერიტორიაზე განთავსებული სამეთვალყურეო სისტემების შესახებ გაიდლაინი გამოაქვეყნა

27.05.2023

ფოტო: ico.org.uk

გაერთიანებული სამეფოს მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ — “ICO”-მ გამოაქვეყნა გაიდლაინი, რომელიც მოქალაქეთა მიერ სამეთვალყურეო სისტემების გამოყენებას შეეხება.

გაიდლაინში აღნიშნულია, რომ მოქალაქეთა მიერ ვიდეო სამეთვალყურეო კამერის (“CCTV”) გამოყენება, ასევე, მათი საკუთრების მიღმა პერიმეტრზე ვიდეო ან ხმოვანი ჩანაწერების განხორციელება არ წარმოადგენს „მონაცემთა დაცვის კანონის“ დარღვევას. თუმცა, საზედამხედველო ორგანო მოქალაქეებს მოუწოდებს, რომ სამეთვალყურეო კამერები არ მიმართონ მეზობელთა საკუთრებისკენ, საზიარო ადგილებისა და ქუჩებისკენ.

მოქალაქეებმა მათი საკუთრების მიღმა ვიდეო და აუდიო მონიტორინგის განხორციელებისას უნდა გაითვალისწინონ, რომ სამეთვალყურეო

სისტემათა გამოყენებით, არ შეიჭრან სხვათა პირად სივრცეში. ხოლო აღნიშნულის შეუძლებლობის შემთხვევაში, აუცილებელია შესაბამისი „ფილტრებისა“ და „კონფიდენციალურობის ბლოკების“ გამოყენება. გარდა ამისა, „მონაცემთა დაცვის კანონის“ თანახმად, ვიდეო და აუდიო ჩამწერი მოწყობილობის მესაკუთრეებს მოეთხოვებათ შესაბამისი წესებისა და რეგულაციების დაცვა.

ფოტო: wikipedia.org

გაიდლაინში წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებიც შემდეგ კითხვებზე პასუხების სახით არის ჩამოყალიბებული:

როგორ უნდა მოვიქცეთ, თუკი ხორციელდება სამეთვალყურეო სისტემის გამოყენება და აღნიშნული გარკვეულ დისკომფორტს გვიქმნის?

1. დაუკავშირდით სამეთვალყურეო სისტემის მესაკუთრეს. თუკი არ გსურთ პირისპირ საუბარი, შესაძლებელია წერილობითი კომუნიკაცია;
2. ჰკითხეთ, თუ რა მიზნით გამოიყენება სამეთვალყურეო სისტემა. მოქალაქეები, როგორც წესი, “CCTV” კამერებსა და კამერით აღჭურვილ „ჭკვიან კარებს“ მონიტორინგისა და უსაფრთხოების მიზნებისთვის იყენებენ. თუკი აღნიშნული მოტივი მისაღებია, შესაძლოა, სამეთვალყურეო სისტემის მეშვეობით, თქვენც მიიღოთ სარგებელი;
3. ახსენით თქვენი დისკომფორტის მიზეზი;
4. გაარკვიეთ, თუ რა სახის მონაცემი მუშავდება.

როგორ უნდა მოიქცეთ, თუკი სხვა პიროვნება იყენებს “CCTV” კამერებს თქვენი შვილების მონიტორინგის მიზნით?

საზედამხედველო ორგანო მონაცემთა სუბიექტებს ურჩევს, გაესაუბრონ ჩანაწერის განმახორციელებელ პირს. სავსებით შესაძლებელია, რომ ვიდეომეთვალყურეობა ლეგიტიმური მიზნებისთვის ხორციელდებოდეს, რა შემთხვევაშიც დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ, “ICO”-ს მიერ მომზადებულ გაიდლაინს დაეყრდნონ.

რა წესები ვრცელდება “CCTV” კამერების მიმართ?

„მონაცემთა დაცვის კანონის“ თანახმად, საკუთრების გარე პერიმეტრზე, ფიქსირებული კამერის (“CCTV”) მეშვეობით მეთვალყურეობის განხორციელებისას, გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი მოთხოვნები:

1. გარე პერიმეტრზე ვიდეომონიტორინგის განხორციელების თაობაზე გარშემომყოფთა ინფორმირება;
2. თუკი ვიდეოჩანაწერებში დაინტერესებული პირი ფიგურირებს, მისი მოთხოვნის შემთხვევაში, ვიდეომასალის გაზიარების ვალდებულება;
3. რეგულარულად ან ავტომატურ რეჟიმში ვიდეომასალის წაშლა;
4. მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნისას, ძირითად შემთხვევებში, გადაღებული ვიდეომასალის წაშლა;
5. დაინტერესებული პირის მოთხოვნით ვიდეომეთვალყურეობის შეწყვეტა, თუკი აღნიშნული შესაძლებელია. მაგალითად, ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის სხვა მიმართულებით დამონტაჟება და ამავდროულად მონაცემთა დამუშავების იმავე მიზნის განხორციელება.

ეს მოთხოვნები ვრცელდება მხოლოდ ფიქსირებულ და არა მოძრავ კამერებზე, მაგალითად, დრონებზე, ისიც იმ შემთხვევაში, თუკი ეს უკანასკნელი მოქალაქის მიერ პირადი მიზნით ან მისი საკუთრების ტერიტორიაზე არ გამოიყენება.

შეუძლია თუ არა მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს სახლის მესაკუთრისგან ვიდეოჩანაწერების გამოთხოვა?

აღნიშნულ კითხვაზე "ICO"-ს პასუხი უარყოფითია. გაიდლაინში აღნიშნულია, რომ პირებს უფლება აქვთ, დაამონტაჟონ "CCTV" კამერები მათ საცხოვრებელ ტერიტორიაზე. მართალია, მათ უნდა შეეცადონ, რომ კამერები მეზობლებისა და მათი საკუთრებისგან მოშორებით მიმართონ, თუმცა აღნიშნული გარკვეულ შემთხვევებში შეუძლებელია და შესაბამისად, კანონდარღვევას არ წარმოადგენს.

შეუძლია თუ არა პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს სამეთვალყურეო სისტემების დემონტაჟი?

აღნიშნულ კითხვაზეც "ICO"-ს პასუხი უარყოფითია. გაიდლაინში დამატებით აღნიშნულია, რომ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, მოითხოვოს ვიდეოჩანაწერების ნახვა ან გამოითხოვოს ასლები, რომლებიც დაინტერესებული პირის სურათს, ვიდეოს ან მის ხმას ასახავს. ხოლო აღნიშნულ მოთხოვნაზე უარის შემთხვევაში, მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, მიმართოს მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს, რომელიც თავის მხრივ ვიდეომასალის გაზიარების მოთხოვნით მიმართავს სამეთვალყურეო სისტემის მესაკუთრეს. სწორედ აღნიშნულით შემოიფარგლება გაერთიანებული სამეფოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს შესაძლებლობა და ნაკლებად სავარაუდოა, რომ "ICO"-მ სამართლიანად მიიჩნიოს რაიმე სახის ზომის მიღება "CCTV" კამერების მომხმარებლის წინააღმდეგ.

გაიდლაინში, ასევე, წარმოდგენილია სამეთვალყურეო სისტემებთან

დაკავშირებით მეზობელთან დავის არსებობის შემთხვევაში გასათვალისწინებელი რეკომენდაციები, აგრეთვე, სამეთვალყურეო სისტემების მომწესრიგებელი რეგულაციების დაუცველობის შემთხვევაში, საზედამხედველო ორგანოსადმი მიმართვის ზოგადი წესი.

ირლანდიის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ ("DPC") კომპანია "Meta" 1.2 მილიარდი ევროს ოდენობით დააჯარიმა

19.04.2023

ფოტო: searchenginejournal.com

ირლანდიის მონაცემთა დაცვის კომისიამ (DPC) კომპანია "Meta"-ს რეკორდული ოდენობის ჯარიმა დააკისრა ევროკავშირში მცხოვრებ მომხმარებელთა პერსონალური მონაცემების ამერიკის შეერთებულ შტატებში გადაცემასთან დაკავშირებული დარღვევებისთვის.

ჯარიმის ოდენობა, რეკორდულია და აჭარბებს "GDPR"-ის დარღვევისთვის დაწესებულ აქამდე არსებულ უმაღლეს ოდენობას — 746 მილიონ ევროს, რომელიც კომპანია "Amazon"-ს 2021 წელს შეეფარდა.

კომპანია "Meta" ვალდებულია, ხუთი თვის ვადით შეაჩეროს პერსონალურ მონაცემთა გადაცემა ევროკავშირიდან აშშ-ში და შეწყვიტოს ევროპელი მომხმარებლის მონაცემების უკანონო დამუშავება, მათ შორის, შენახვა აშშ-ში ექვსი თვის ვადით. აღსანიშნავია, რომ გადაწყვეტილება ვრცელდება მხოლოდ სოციალურ ქსელ "Facebook"-ზე და არა მის სხვა პლატფორმებზე, როგორიცაა: "Instagram"-ი ან "WhatsApp"-ი.

მიუხედავად ამისა, კომპანია "Meta"-ს წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ აპირებენ ჯარიმის გასაჩივრებას.

"WhatsApp"-ის მომხმარებელთა ნაწილის ვარაუდით, აპლიკაციას უკანონო წვდომა აქვს მობილური ტელეფონების მიკროფონზე

11.05.2023

"WhatsApp"-ი უკვე რამდენიმე წელია დიდი ტექნოლოგიური კომპანია "META"-ს ("Facebook"-ის) ნაწილია. აღნიშნულმა ფაქტმა მისი კონფიდენციალურობის პოლიტიკა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა, რადგან, როგორც ცნობილია, კომპანია "Meta"-ს პერსონალური მონაცემების უნებართვოდ დამუშავების გამო, ევროპის არაერთი პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს მიერ ჯარიმა აქვს დაწესებული.

სოციალურ ქსელში მომხმარებლებმა გამოაქვეყნეს ინფორმაცია, რომლის თანახმად, “WhatsApp”-ს წვდომა აქვს მათი მობილური ტელეფონების მიკროფონზე მაშინაც კი, როდესაც ისინი აპლიკაციით არ სარგებლობენ. მომხმარებლებმა ე. წ. „კონფიდენციალურობის ინდიკატორების“ საშუალებით არაერთხელ დააფიქსირეს მიკროფონის გამოყენების ფაქტი. „კონფიდენციალურობის ინდიკატორი“ მობილური ტელეფონის ეკრანის მარჯვენა ზედა მხარეს მწვანე მანიშნებლის მეშვეობით, მომხმარებელს ატყობინებს, თუ როდის გამოიყენება მობილური ტელეფონის მიკროფონი ან კამერა. აღნიშნულ ფაქტს ელონ მასკი (ამერიკელი ბიზნესმენი, გამომგონებელი და ინვესტორი, “SpaceX”-სა და “Tesla Inc.”-ის დამფუძნებელი) გამოეხმაურა და განაცხადა, რომ “WhatsApp”-ი არასანდოა.



ფოტო: dailymail.co.uk

“WhatsApp”-ის თანახმად, „კონფიდენციალურობის ინდიკატორი“ შესაძლოა, მაშინაც გააქტიურდეს, როდესაც მომხმარებელი აპლიკაციას არ იყენებს. აღნიშნული კი უკავშირდება “Android” სისტემის ტექნიკურ ხარვეზს, ვინაიდან იგი მომხმარებელს არასწორ ინფორმაციას ატყობინებს. კომპანიამ საკითხის შემდგომი შესწავლის მიზნით, “Google”-ს მიმართა.

(+ 995 32) 242 1000
office@pdps.ge
www.pdps.ge